სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N2 საჯარო
სკოლის ისტორიის მასწავლებლის
იზოლდა ფხაკაძის სასწავლო პრაქტიკის კვლევის ანგარიში

როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა, საბაზო საფეხურზე (მე-8 მე-9 კლასები) ისტორიის გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით

წყალტუბო

2018-2019

სარჩევი

1. სათაური (საკვლევი თემა)---------- 1
2. შესავალი ---------- 2
3. აქტუალურობა ---------- 4
4. პრობლემის ანალიზი ---------- 5
5. მიზანი ---------- 6
6. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 6
7. საკვლევი საკითხები ----------13
8. სამიზნე ჯგუფი ----------14
9. კვლევის მეთოდები ---------- 14
10. მონაცემთა ანალიზი ----------15
11. ძირითადი მიგნებები ---------- 16
12. ინტერვეციები ----------22
13. დასკვნა ----------25
14. რეკომენდაციები ----------26
15. რეფლექსია ----------27
16. დანართი ----------28
17. ბიბლიოგრაფია ----------31

შესავალი

ნაშრომი წარმოადგენს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებლის იზოლდა ფხაკაძის სასწავლო პრაქტიკის კვლევას მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის ამაღლების მიზნით ისტორიის გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობებისა და რესურსების გამოყენების შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსწავლეთა მოტივირება და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში ერთ-ერთი მთავარი საკითხია პედაგოგიკაში, მოსწავლეები კოგნიტურად, ემოციურად თუ ქცევით ჩართული უნდა იყვნენ საკლასო აქტივობებში. რა არის მოტივაცია? რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში საბოლოო ჯამში კი მაღალ აკადემიურ შედეგამდე მივყავართ.

დავიწყოთ საკითხით რა არის მოტივაცია? მას თეორიტიკოსები ასე განმარტავენ: ეს არის ადამიანის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზურუნველყოფს ქცევას.

ფსიქოლოგები 5 ძირითად საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას:

1) როგორ არჩევანს აკეთებენ ადამიანები;

2) რა დრო უნდა გავიდეს, რომ მოტივაცია ამოქმედდეს;

3)რა ხარისხით არის ჩართული ადამიანი არჩეულ ქცევაში?

4) რა აიძულებს ინდივიდს იყოს შეუპოვარი ან ადვილად დანებდეს?

5) რა გრძნობები აქვს და რაზე ფიქრობს ინდივიდი, როცა ქცევას ახორციელებს?

მოტივირებული ადამიანი თავდაუზოგავად მიიწევს-მიზნისკენ, ან მუშაობს მუყაითად მაშინაც, როცა სამუშაო მოსაწყენად ეჩვეენება რა წარმართავს ქცევას და რა ანიჭებს მას ამ ენერგიას? როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ ამის ახსნა უნდა ვეძებოთ მოთხოვნილებებში, სტიმულებში, შიშებში, მიზნებში, სოციალურ ზეწოლაში, თვითრწმენაში, ინტერესებში, ცნობის მოყვარეობაში, რწმენაში, ღირებულებებეში, მოლოდინებში და ა.შ.

ზოგიერთი ფსიქოლოგი მოტივაციას პიროვნული ნიშან-თვისებების ტერმინებით ხსნის, მოტივაცია რომელიც ჩვენ გვაქვს დროის ნებისმიერ მოცემულ მონაკვეთში. ნიშან-თვისებებისა და მდგომარეობის ერთობლივი კომბინაციაა. ზოგიერთი მოსწავლისათვის სწავლა ღირებულია და ამიტომ სწავლობს. ამ შემთხვევაში მოტივაცია შინაგანია, ამის საპირისპიროა მოტივაცია, რომელიც დასჯის ან შიშით ჯილდოს მიღების მიზნით არის ჩამოყალიბებული.

როდესაც მოსწავლე მოტივირებულია და ჩამოყალიბებული აქვს გარკვეული მოთხოვნილებები სწავლისადმი ის საგაკვეთილო პროცესში აქტიურად არის ჩართული და მაღალ აკადემიურ შედეგსაც აღწევს.

საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები ორიენტირებულია ისეთ სწავლა-სწავლებაზე რომლის ცენტრში დგას მოსწავლე-პიროვნება და მის მრავალმხრივ განვითარებაზე ზრუნვა სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

მოცემული ნაშრომი არის ანგარიში მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის და დაბალი ჩართულობის პრობლემის კვლევის შესახებ და მიზნად ისახავს იმ გზების ძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხს. ამ მიზნით განხორციელებული აქტივობებისა და მოსწავლეზე მორგებული რესურსის გზით.

აქტუალურობა

ჩემს მიერ გამოკვეთილი საკვლევი თემა აქტუალურია, როგორც ჩემი სკოლისთვის, ისე თითოეული მოსწავლისა და მასწავლებლისათვის.

სკოლის წარმატებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი მისი სასწავლო გარემოა. სასწავლო გარემო მხოლოდ სკოლის შენობა, მისი საკლასო ოთახები, მათი ორგანიზება ან მატერიალური რესურსები კი არა, არამედ მასში იგულისხმება აგრეთვე ის ურთიერთობები, რომლებიც სკოლის საზოგადოების წევრებს შორის სუფევს, ამასთანავე ის მიდგომა სწავლა-სწავლების პროცესისადმი, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდეს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მიღწევებს, ამრიგად სასწავლო გარემო არის ყველა იმ ფაქტორის ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციასა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაზე, საბოლოო ჯამში კი მოსწავლის მაღალ შედეგებსა და განვითარებაზე, პოზიტიურ და ადეკვატურ გარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მაღალია, საერთოდ სასწავლო პროცესი წარმატებულია თუ ის და მისი შემადგენელი აქტივობა მიმდინარეობს ადეკვატურ ფიზიკურ გარემოში მოსწავლეებს და მასწავლებლებს ხელი მიუწვდებათ საჭირო სასწავლო რესურსებზე განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის-მოტივაციის ამაღლებისა და ჩართულობის გასაუმჯობესებლად საკლასო ოთახის კარგი ფიზიკური გარემო განაპირობებს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის მაღალ ხარისხს.

საბაზო საფეხურზე (კერძოდ VIII - IX კლასებში) მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია და საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობის დაბალ მაჩვენებელს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ეს შეიძლება იყოს ფიზიოლოგიური (გარდატეხის ასაკი) სოციალური გარემო (თანამედროვე ოჯახებში ემიგრაციაში ყოფნის გამო მშობელთა სითბოს დეფიციტი), საზოგადოებაში არსებული აგრესული ფონი და ა.შ.

პრობლემის ანალიზი

ჩემი სასწავლო პრაქტიკიდან გამომდინარე ახალგაზრდა თაობის უმრავლესობა ნელ-ნელა ზედმეტი დატვირთვის გარეშე ცდილობს მიაღწიოს სასურველ შედეგს, გადავიდეს კლასიდან კლასში და აიღოს სკოლის დამთავრების ატესტატი, რეპეტიტორებთან რამდენიმე საგანში მომზადებით მოხვდეს უმაღლეს სასწავლებელში, ამჯერად აიღოს დიპლომი. მსგავსი შემთხვევები ზრდის უმუშევარი ახალგაზრდების არმიას. რა თქმა უნდა მათი განათლებისა და წიგნიერების დონე ძალიან დაბალი არის, ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩატარებული კვლევებიც.

2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისათანავე ყურადღებით ვაკვირდებოდი VIII-IX კლასების მოსწავლეები რადენად მოტივირებულნი და ჩართულები იყვნენ საგაკვეთილო პროცესში. ხშირად დავფიქრებულვარ ამ ასაკის მოსწავლეთა უმრავლესობას რატომ უქრება მოტივაცია სწავლისადმი და გაკვეთილზე ხდებიან ინერტულები, გონებაგაფანტულები, ხდებიან ე.წ. „ზარმაცები“ - ეზარებათ კითხვა. საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, აქცევდნენ თუ არა მშობლები, მათი შვილების სწავლის საკითხს ყურადღებას? დავფიქრებულვარ თითოეული მოსწავლის სოციალურ გარემოზე, იმ პირობებზე რომელშიც უწევთ ყოფნა და სოფელში დატვირთულ სამუშაოზე რაშიც უმეტეს წილად არასრულწლოვანი მოზარდები არიან ჩართულნი.

საკითხის მრავალმხრივ კვლევა კარგი იქნებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე საჭიროებების დადგენას, კონკრეტული მიზეზების ძებნას და გადაჭრის გზების ძიებას მეტი დრო სჭირდებოდა. მე შემოვიფარგლე საკუთარი პრაქტიკის კვლევით, გადავწყვიტე გავცნობოდი ამ საკითხთან დაკავშირებით სხვათა გამოცდილებებს, არსებულ ლიტერატურას, რათა სწორად დამეგეგმა პრევენციული ღონისძებები.

ძირითადი დასკვნები:

მე-8 მე-9 კლასებში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (რომელიც მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს) შეგვიძლია დავასკვნათ:

- მოსწავლეები არ უთმობენ სათანადო დროს ისტორიაში შესასწავლი მასალის შესრულებას, არიან ნაკლებ მოტივირებული და უმრავლესობა ნაკლებად ერთვება საგაკვეთილო პროცესში.

მიზანი

ჩემი კვლევის მიზანია დავადგინო, საიდან მოდის ეს პრობლემა, რა შეფერხებები აქვთ მოსწავლეებს რატომ გახდნენ ნაკლებ მოტივირებულნი, რატომ არ ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში აქტიურად?!

- საბაზო საფეხურზე კონკრეტულად მე-8 მე-9 კლასებში დაბალი მოტივაციისა და დაბალი ჩართულობის მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვეციების დაგეგმვა განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება;
- საგაკვეთილო მასალის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულის გამოკვეთა;
- კითხვისადმი დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების დადგენა-გამოკვეთა;
- ამისთვის უნდა შევიმუშავო ისეთი მეთოდები და აქტივობები, რომლებითაც მოსწავლეთა პროვოცირებას მოვახდენ, ნელ-ნელა ავუმაღლებ მოსწავლეებს მოტივაციას და გავზრდი საგაკვეთილო პროცესში მაღალი ჩართულობის დონეს.
- სასწავლო პრაქტიკის კვლევის ფარგლებში საჭირო გახდა გავცნობოდი დამატებით ლიტერატურას რომელიც უშუალოდ უკავშირედებოდა მოსწავლეთა დაბალ მოტივაციასა და საგაკვეთილო პროცესში დაბალ ჩართულობას.

ლიტერატურა

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას, რომელთა ფლობა გადამწყვეტია

თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზაციისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. პრიორიტეტული კომპეტეციები მოიცავს იმ ძირითად ცოდნას და უნარებს, რომელთა გამომუშავებას და განვითრებას ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწინებული ყველა საგნის სწავლებას სპეციფიკური კომპეტენციების დასაუფლებლად.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით გავეცანი ჟურნალ „მასწავლებელში“ მოცემულ მანანა ბოჭორიშვილის სტატიას „ეფექტური სწავლება და მოსწავლეთა მოტივაცია“ როგორც სტატიაშია აღნიშნული მოტივის მრავალფეროვანი განმარტება არსებობს, დიმიტრი უზნაძე მოტივს ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს უწოდებდა. ხოლო თანამედროვე ფსიქოლოგები მოტივის სამ ფუნქციაზე საუბრობენ: 1) მოტივი აღძრავს ქცევას; 2) მოტივი აძლევს ქცევას მიმართულებას; 3) მოტივი უზრუნველყოფს ქცევას.

მოტივის ახსნაა, მოტივები ხსნიან ქცევას და პასუხობენ კითხვას რატომ? სწავლის თეორია კი იძლევა პასუხს კითხვებზე რა? როგორ? მოტივაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ძალა, რომელიც პიროვნებას გარკვეული ქმედებისაკენ და ან/სხვა ქმედებისაგან თავის შეკავებისკენ უბიძგებს.

მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა და სწავლის დროს მაღალი შედეგის მიღწევა მოტივაციაზე არის დამოკიდებული. ფსიქოლოგ მასლოუს მიხედვით სწავლის მოთხოვნილების აღმძვრელი შეიძლება იყოს განსხვავებული დონის მოტივაცია ეს დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და თავისებურებებზე.

სასწავლო გეგმის, საგნობრივი პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე ზოგჯერ მიმიმართვას ჯგუფური მუშაობისათვის, ამ დროს ჯგუფში მომუშავე მოსწავლეებს აქვთ საერთო პასუხისმგებლობა და გუნდური მოტივაცია, ჯგუფი მოტივირებულია გუნდური მუშაოებისათვის, რათა მიაღწიოს იმ შედეგს, რაც მნიშვნელოვანია. ჯგუფის ყველა წევრი საერთოდ პასუხისმგებელია მისაღწევ პროდუქტზე.

ფსიქოლოგები მუდმივად იკვლევენ მოტივაციის საკითხებს. უმჯობესია საკითხი ცენტრალურ ელემენტებთან მიმართებით განვიხილოთ

ა ვ ტ ო რ ი	თ ე ო რ ი ა	**თეორიის ცენტრალური ელემენტი**
სკინერი	ბიჰევიორისტული	განმტკიცება
ბრუნერი	კოგნიტური	აღმოჩენა
ბანდურა	სოციო-კოგნიტური	მიბაძვა
მაკელანდი	მიღწევის	მიღწევის მოთხოვნილებები
ვაინერი	ატრიბუციის	ქცევის მიზეზები
მასლოუ	ჰუმანისტური	მოთხოვნილებათა იერარქია

ყველა ეს თეორია მოტივაციის ცენტრალურ ელემენტს თავისებურებად ხსნის

თეორიის ცენტრალური ელემენტი	მოტივაციის ახსნა

განმტკიცება აღმოჩენა წაბაძვა მიღწევის მოთხოვნილება ქცევის მიზეზები მოთხოვნილებათა იერარქია	აღწერა მოტივთა კომპლექსი მოდელირება ცვლილებები მიღწევის მოთხოვნილებაში ქცევის მიზეზების წვდომა მოთხოვნილებათა დაკამყოფილება

მაგალითად განვიხილოთ მასლოუს ჰუმანისტური თეორია

ავტორი	**თეორია**	**თეორიის ცენტრალური ელემენტი**	**მოტივაციის ახსნა**
მასლუ	ჰუმანისტური იერარქია	მოთხოვნილებები	მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

მასლოუს მიხედვით ადამიანს აქვს ბაზისების მოთხოვნილებათა 5 კატეგორია

1) ფიზიოლოგიური;
2) უსაფრთხოება;
3) სოციალური;
4) ეგოსი;
5) თვითრეალიზაციისა

ბაზისური მოთხოვნილებების ეს 5 კატეგორია ორ კლასს ქმნის

I - საბაზისოს ანუ დანაკლისის შევსებისას

II - ზრდისას ანუ მეტამოთხოვნილებებისას ცნობილია, რომ ადამიანი ჯერ საბაზისო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, შემდეგ კი - მეტამოთხოვნილებებს. თვითრეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია კომპეტენტურობისაკენ მისწრაფება, რომელიც გამოიხატება ბავშვის მცდელობით გახდეს უფრო კომპეტენტური, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ განათლებულობა ეფუძნება არა ცოდნას, არამედ მისი მოპოვების უნარს, როდესაც მოსწავლეს აქვს სურვილი ისწავლოს, ის შინაგანად მოტივირებულია როდესაც მოსწავლეს სწავლის სურვილს აღუძრავს გარედან მოსული სტიმული (ჯილდო, სასჯელი) მოტივაცია გარეგანია. თუ სწავლა ორიენტირებულია გარეგან მოტივაციზაე (ძალდატანება, წარუმატებლობის შიში) ის ეწინააღმდეგება სწავლის ბუნებრივ პროცესს, ეს კი მოსწავლეებში შემეცნებით პროცესს აფერხებს, როდესაც მოსწავლის ქცევას აღძრავს მიმართულებებს აძლევს და უზრუნველყოფს სწავლისაგან მიღებული სიამოვნებისკენ სწრაფვა ე.ი სწავლება ორიენტირებულია შინაგან მოტივაციაზე. ეს მოსწავლეებში წარმატებულ შემეცნებით პროცესს უზრუნველყოფს.

მოსწავლის მოტივირება ნიშნავს, უბიძგო მას ძველი ქცევა შეცვალოს ახლით.

ფსიქოლოგიაში მოტივაციური საფუძვლის მიხედვით განასხვავაბენ სწავლის სამ სახეს.

სწავლა ლატენტური (ფარული მოტივაციით)	სწავლა, ჰეტეროგენული (სხვა) მოტივაციით	სწავლა ჰომოგენური (იმავე) მოტივაციით
მთელი ცხოვრების მანძილზე მიზანდასახულობის გარეშე გაუცნობიერებლად სწავლა	მიზანმიმართული სწავლა მოსწავლემ იცის რა ისწავლოს, მაგრამ ცოდნის დონე არ აინტერესებს	ამ დროს მოსწავლის ცნობისმოყვარეობა გადასულია ცოდნის მოყვარეობაზე. ეს არის ეტაპი რომლის დროსაც ნებისყოფის განვითარებაში მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება, მოსწავლე სასწავლო აქტივობას ცოდნას ობიექტურ ღირებულებებზე აფუძნებს, ამ დროს მოსწავლე ცდილობსმეტი ისწავლოს და გახდეს კომპენტენტური.

ჩემ მოსწავლეებთან მუშაობის დროს ვცდილობ გარეგანი მოტივაცია შინაგანი მოტივაციით შევცვალო, ავუხსნა მათ, რომ წარმატება მათსავე ძალაზეა დამოკიდებული. ამ შემთხევევაში ჩემი ფუნქციაა ვასწავლო მოსწავლეს, როგორ ისწავლოს, როგორ გახდეს აქტიური და ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში, რადგან კარგად მესმის მოსწავლის მოტივაცია დამოკიდებულია მის გრძნობებზე, ჩემს მოქმედებაზე და სკოლაში არსებულ გარემოზე.

სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ორი ფაქტორი არსებობს, სტიმულაცია და ზეგავლენა. მოტივაციისა და მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის საკითხის ურთიერთდამოკიდებულების თემა სწავლასთან მიმართებით განვიხილოთ.

- მოტივაცია და ჩართულობა სწავლის დასაწყისში;
- მოტივაცია და ჩართულობა სწავლის პროცესში;
- მოტივაცია და ჩართულობა სწავლის დასასრულს

სწავლის პირველ ეტაპზე არსებობს ორი მთავარიმოტივაციური ფაქტორი: დამოკიდებულება და მოთხოვნილება.

სწავლის დასრულების დროსაც ორი მთავარი მოტივაციური ფაქტორი გვხვდება: კომპენტეცია და განმტკიცება.

როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ მოზარდს დამოუკიდებელი ცნობისმოყვარეობა ახასიათებს, მოტივაციის ჩამოყალიბების ბუნებრივ ფაქტორთაგან პირველ რიგში სწორედ ეს არის გათვალისწინებული, მე როგორც მასწავლებელი ვცდილობ და ხელს ვუწყობ მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაღვიძებას და მის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდას.

კარგად მაქვს გააზრებული თანამედროვე საგანმანათლებლოპროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს, ეს გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არამარტო განათლების მიღების, არამედ თანატოლთა სწავლის პროცესში გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას წარმოდგენების დაგეგმვისას თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთ გაგებაში უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში, რაც თავისთავად გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში მათ ჩართულობას.

როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნე მოსწავლის მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და პირიქით.

იკლებს როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა, მოტივაცია იზრდება მაშინაც როდესაც მოსწავლე ხედავს მასწავლებლის მიზანს. დარწმუნებულია მის საჭიროებებში, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გააგებინოს რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარე ცხოვრებას შორის.

მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში თუ ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას, ზრუნავს შესრულებული დავალების ხარისხზე და ამასთან, შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს. (Newmana,1986) ასეთი მოსწავლეები გამოხატავენ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისა და სწავლის მიმართ.

სასწავლო მასალები და ტექნოლოგიები International society for Technology in Education-ის მიხედვით სწავლების პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირებას ძლიერი პოზიტიური ეფექტი აქვს მოსწავლეთა მიღწვეაზე მხოლოდ მაშინ, თუ ეს პროცესი შესაბამისად იქნება განხორციელებული სწავლებაში, ტექნოლოგიების დასანერგად აუცილებელია მასწავლებლის მომზადება სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დაცვა, მისი როგორც სასწავლო მასალის ყოველდღიური გამოყენება.

თანამშრომლობით სასწავლო გარემოს შექმნა და ა.შ

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე მივედი იმ დასკვნამდე, რომ შეიძლება ყველაზე საინტერესო მასალამაც კი არ დააინტერესოს მოსწავლეები, თუ ის მიმზიდველად არა არის წარმოდგენილი და არ ემსახურება მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, უპირველეს ყოვლისა მთავარი რესურსი წიგნი კარგად უნდა იყოს ილუსტრირებული, მაგრამ ტექსტს და ილუსტრაციას შორის ბალანსი უნდა იყოს დაცული, ერთი კარგი სურათი შეიძლება ათას სიტყვას სჯობდეს ილუსტრაცია პირდაპირ კავშირში უნდა იყოს გაკვეთილის თემასთან.

არის თუ არა გაკვეთილები დაყოფილი მოხერხებულ ნაწილებად ისე, რომ გაკვეთილის ორგანიზებას შეეწყოს ხელი?

ძალიან მნიშვნელოვანია რამდენად გასაგებ ენაზეა სახელმძღვანელო დაწერილი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისათვის და აქვს თუ არა ინსტრუქციები, ტექსტი და აქტივობები წიგნში გაკვეთილები მოსახერხებელ ნაწილებად უნდა იყოს დაყოფილი, სასკოლო სახელმძღვანელოში უნდა გვხვდებოდეს ისეთი წინადადებები, რომლებიც ცხოვრებაში გამოყენებული ქართულით იქნება წარმოდგენილი.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არის თუ არა მოსწავლეზე ორიენტირტებული მთავარი რესურსი სახელმძღვანელო აძლევს, თუ არა საშუალებას მოსწავლეებს დასვან კითხვები, ჩაერთონ მსჯელობასა და კვლევაში, მნიშვნელოვანია რამდენად აცნობს სახელმძღვანელო მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებს, იძლევა თუ არა ნასწავლი მასალის შეჯამების საშუალებას, რამდენად არის პრაქტიკული სახელმძღვანელოში მოცემული სამუშაოები.

გაკვეთილი უნდა მოიცავდეს სწავლისა და სწავლების სხვადასხვა ხერხსა და საშუალებებს.

საგნობრივმა კათედრამ სახელმძღვანელოს შერჩევის დროს ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე თუ რამდენად იძლევა სახელმძღვანელო იმის შესაძლებლობას რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, რამდენად ასწავლის სახელმძღვანელო კლასიფიცირებას ან სხვა მოქმედებებს იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ახალი მასალა ეფექტურად შეისწავლონ.

ეროვნული სასწავლო გეგმა

თავი V სწავლება, სწავლა და სასწავლო გეგმა.

ნაწილი 1. სწავლება, სწავლა და სასწავლო გეგმა, მიზნები და ფუნქციები

ნაწილი 2. სკოლების მიერ სახელმძღვანელოების შერჩევა

ისევ მინდა დავუბრუნდე მოსწავლეთა მოტივაციის საკითხს, როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გასაზრდელად დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებას.

„სანამ თითოეული მოსწავლის, თითოეული კლასისათვის არ შესრულდება სამი საბაზისო პირობა, არც ერთი მამოტივირებელი სტრატეგია არ იქნება წარმატებული:

პირველი - კლასში არ უნდა იყოს ხელის შემშლელი ფაქტორები;

მეორე - მასწავლებელი უნდა იყოს მომთმენი და გულშემატკივარი პიროვნება, რომელიც მოსწავლეებს შეცდომებისათვის არ სჯის. ყოველი მოსწავლე შეცდომას უნდა განიხილავდეს, როგორც სწავლისა და განვითარების შესაძლებლობას.

მესამე - დავალება გამომწვევი უნდა იყოს, მაგრამ ადეკვატური თუ სამუშაო მეტისმეტად მარტივია ან მეტისმეტად რთული, მოსწავლეებს მცირე მოტივაცია ექნებათ. ისინი ფოკუსირებას მოახდენენ დავალების დასრულებაზე და არა მასალის არსის ჩაწვდომაზე.

ამის შემდეგ რაც ეს ბაზისური პირობები დაკმაყოფილდება მოსწავლეთა სწავლის მოტივაციაზე გავლენა შეიძლება ორ კითხვად ჩამოვაყალიბოთ: შეუძლია თუ არა მოსწავლეს წარმატებით გაართვას თავი მის წინაშე არსებულ ამოცანას? რა სჭირდება საამისოდ, რომ წარმატებას მიაღწიოს?

ჩვენი სურვილია მოსწავლემ წარმატებას მიაღწიოს და ამისთვის მხოლოდ წაქეზება არ კმარა: საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1) მუშაობის დაწყება მოსწავლეთა რეალური დონიდან და მოზომილი ნაბიჯით სვლა. ტემპი ცოცხალი უნდა იყოს, მაგრამ არა სწრაფი. სხვადასხვა მოსწავლეს სხვადასხვა სირთულის დავალება უნდა მივცეთ;
2) უნდა დავრწმუნდეთ, რომ სასწავლო მიზნები ცხადი, სპეციფიკური და ახლომომავალში განხორციელებადია, როცა რამე პროექტს ვგეგმავთ ის ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განვახორციელოთ და ქვემიზნებით დავყოთ დავეხმაროთ მოსწვალეებს იგრძნონ წინსვლა და პროგრესი, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სხვადასხა სირთულის მიზნები და მივცეთ არჩევანის საშუალება;
3) აქცენტი უნდა დავსვათ თვითშედარებაზე და არა სხვებთან შედარებაზე. უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის დანახვაში. მივცეთ მათ კონკრეტული უკუკავშირი და შენიშვნები;
4) მივცეთ მოსწავლეებს პრობლემის წარმატებით გადაჭრის მაგალითი, მოსწავლეებს უნდა დავანახოთ, რომ უშეცდომოდ სწავლა შეუძლებელია და არც მასწავლებელია გამონაკლისი. მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად უნდა გამოვიყენოთ და მოვახდიონოთ როგორც შინაგანი ისე გარეგანი მოტივაციის წაქეზება.
5) მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ ხშირად გამოავლინონ თავიანთი ცოდნა, კითხვა-პასუხის, მოკლე დავალებების შესრულებით.

ასეთი სტრატეგიებით შევძლებთ, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაზრადას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ხარისხის ამაღლებას.

საკვლევი კითხვები

რატომ უნდა ვიზრუნოთ მოსწავლეთა მოტივაციის და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხის გასაზრდელად საბაზო საფეხურზე?

- ✓ რა იწვევს მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას და სასწავლო პროცესში ჩართულობის დაბალ ხარისხს საბაზო საფეხურზე (VIII-IX კლასები);
- ✓ რამდენად მნიშვნელოვანია ეფექტიანი აქტივობებისა და რესურსების შერჩევა საგაკვეთილო პროცესისათვის?
- ✓ იყენებენ თუ არა მასწავლებლები მრავალფეროვან რესურსებს მოსწავლეებში დაბალი მოტივაციისა და ჩართულობის ამაღლების მიზნით?
- ✓ რა ტიპის რესურსები იზიდავს მოსწავლეებს (სქემები, ტაბულები, ცხრილები, ანიმაცია, ონლაინ რესურსები საკუთარი ხელით შექმნილი და სხვა)
- ✓ როდის აღწევს მასწავლებელი უფრო კარგ შედეგს?
- ✓ არის თუ არა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები მოსწავლეთათვის მისაღები შინაარსობრივი და იდეოლოგიური თვალსაზრისით?
- ✓ შეესაბამება თუ არა ტექსტები მათ ინტერესებს?
- ✓ შეესაბამება თუ არა ტექსტები მათ საჭიროებებს?
- ✓ არის თუ არა სირთულე ტექსტების მოცულობაში?
- ✓ რა დროს ანდომებს სახლში საშინაო დავალების შესრულებას?
- ✓ პრობლემების მიზეზი ხომ არა რის მათი პიროვნული თვისებები და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების არ ქონა?
- ✓ რა დაეხმარება მათ მოტივაციასა და ჩართულობის ამაღლებაში?
- ✓ როგორი გაკვეთილი იქნება მათთვის საინტერესო?
- ✓ რა თემებია მათთვის საინტერესო, რომელთა შესწავლაც გაზრდის მათ ჩართულობას?

სამიზნე ჯგუფი

წინამდებარე საკვლევი თემის სამიზნე ჯგუფი არის

სამიზნე ჯგუფის სუბიექტები	მიზანი

სკოლის დირექცია	ადვოკატირება
მასწავლებლები	პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება
მოსწავლეები	პრობლემის იდენტიფიცირება
მშობლები	ურთიერთთანამშრომლობა

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გეგუთის N2 საჯარო სკოლის საბაზო საფეხური. კერძოდ მე-8; მე-9 კლასები 12 მოსწავლე (5 გოგონა -7 ვაჟი) ეს ის კლასებია, რომელშიც მიმდინარეობს კვლევა.

მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით

კლასი	მოსწავლეთა რაოდენობა
VIII	7
IX	5
სულ	12

კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოვიყენებ შემდეგი

მეთოდებს როგორც წინა თავებში აღვნიშნე ჩვენი კვლევის მთავარი კითხვა არის.

რატომ აქვთ მოსწავლეებს დაბალი მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში? რა არის საბაზო საფეხურზე, კერძოდ კი მე-8, მე-9 კლასებში გამოწვეული პრობლემის მიზეზი? კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემების დადგენაში დამეხმარება შემდეგი ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

1. რომელი ორგანიზების ფორმა ეხმარებათ მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლებასა და მაქსიმალურად ჩართულობისათვის?
2. იყენებენ თუ არა მოსწავლეები გარეგან წახალისებას ჩართულობისას?
3. ეკითხებიან თუ არა მასწავლებლები მოსწავლეებს რისი მოსმენა სურთ?
4. იღებენ თუ არა მასწავლებლები გადაწყვეტილებებს მოსწავლეებთან ერთად?
5. რამდენად ვგეგმავთ გაკვეთილს მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე.

   რათა პასუხი მიმეღო მნიშვნელოვან საკითხებზე ჩემი მიზანი იყო დამედგინა რა მიზეზები აქვს მოსწავლეებში მოტივაციისა და ჩართულობის დაბალ დონეს, რატომ აქვთ დაბალი მოტივაცია, რატომ უჭირთ საგაკვეთილო პროცესში აქტიური ჩართვა მსურდა გამეგო როგორ უყურებენ მოსწავლეები და მშობლები ამ პრობლემას.

   შევარჩიე კვლევის ინსტრუმენტები:

1. კითხვარი მოსწავლეებისათვის;
2. კითხვარი მასწავლებლებისათვის;
3. კითხვარი მშობლებისათვის;
4. ფოკუს-ჯგუფი;
5. დაკვირვება.

როგორც უკვე აღვნიშნე შევარჩიე შესაბამისი მიზნობრივი არჩევით პასუხიანი კითხვარი მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის და მშობლებისათვის რათა დამედგინა არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი კითხვებით მინდოდა გამერკვია თუ რას ფიქრობდნენ ისინი მოსწავლეთა დაბალი მოტივაციისა და საგაკვეთილო პროცესში დაბალი ჩართულობის შესახებ. რა მიაჩნიათ მათ პრობლემის გადაჭრის გზად.

გამოვიყენე ასევე კვლევის ინსტრუმენტი ფოკუსჯგუფი მოსწავლეთა. მშობლებთან და მე-8; მე-9 კლასის მასწავლებელებთან, ეს ფაქტიურად გამოვიდა ჯგუფური დისკუსიაც, მსჯელობა,დიალოგი წარიმართა საინტერესო ფორმატში რადგან მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა უკეთ გამოევლინათ თავიანთი დამოკიდებულება საკითხისადმი ყველა მონაწილეს მიეცა თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობა. მშობლებისგან ესწრებოდა 8 მშობელი, მასწავლებელთაგან -8;

ასევე საინტერესო მეთოდი აღმოჩნდა ე.წ დაკვირვების მეთოდი წინასწარ შემუშავებული დაკვირვების კრიტერიუმების გამოყენებით ვაკვირდებოდი თუ როგორ იყვნენ მოტივირებულნი და საგაკვეთილო პროცესში. ჩართული მოსწავლეები, კლასის ორგანიზების რომელი ფორმა მოსწონდათ.

ფოკუსჯგუფის ანალიზის შედეგებით გამოვლინდა, რომ მშობელთა უმრავლესობა ვერ უწევს მონიტორინგს მათი შვილების სწავლის საკითხს, ისინი აღნიშნავენ, რომ დღის მანძილზე დატვირთული სამუშაო განრიგი, სასოფლო სამუშაოები ხელს უშლით სწავლის პროცესში ჩაერთონ ამ მხრივ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებენ სკოლას და მასწავლებელს, თვლიან, რომ ისინი უფრო კომპეტენტურები არიან ამ საკითხში.

კვლევის ფარგლებში მასწავლებლებს მივმართე კითხვით „თუ რამდენად არიან მოსწავლეები მოტივირებულნი და ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში?“

გამოკითხულთა 57%-ისაგან მივიღე უარყოფითი პასუხები; 20%-საგან დადებითი; 23%-ისაგან ნაწილობრივ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ არის მოტივირებული და ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

მასწავლებლები კითხვაზე რომელი ორგანიზების ფორმას იყენებთ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებთან? ჩართულობისათვის გამოკითხულ პედაგოგთა 80% იყენებს ინდივიდუალურს, 9% ჯგუფურს, ხოლო 11% წყვილებში მუშაობის ფორმას.

პედაგოგების პასუხიდან გამოიკვეთა ასევე, რომ მათი დიდი ნაწილი მოსწავლეებთან ერთად გადაწყვეტილებას არ იღებს კითხვაზე იღებენ თუ არა გადაწყვეტილებას მოსწავლეებთან ერთად? შემდეგი პასუხი მივიღე 20% -დიას, 24%-ნაწილობრივ, 55%-არა.

დიაგრამაზე შედეგებმა შემდეგი სახე მიიღო:

1. რამდენად არიან მოსწავლეები ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში?



2. მასწავლებელთა მიერ გაკვეთილზე გამოყენებული ორგანიზების ფორმები:



3. მასწავლებლები იღებენ თუ არა მოსწავლეებთან ერთად გადაწყვეტილებებს?



1. მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად კითხვაზე: „დადებითად მოქმედებს თუ არა გარეგანი წახალისება (ბუნებაში დაგეგმილი გაკვეთილი, ექსკურსია, ჯილდო, შექება) მოტივაციის და ჩართულობის ასამაღლებლად? ყველა მოსწავლემ მიპასუხა „დიახ“.

2. კითხვაზე - გაკვეთილის ორგანიზების რომელ ფორმას ანიჭებენ უპირატესობას და ასრულებენ ხალისით?! დიდმა ნაწილმა 70%-მა დააფიქსირა, რომ ხალისით ასრულებენ წყვილებში მუშაობას 20% ირჩევს ჯგუფურ მუშაობას, ხოლო 10% ინდივიდუალურ მუშაობას.

მონაცემები დიაგრამაზე აისახა შემდეგნაირად:

1. კითხვა დადებითად მოქმედებს თუ არა წახალისება? (ბუნებაში გაკვეთილი, ექსკურსია, ჯილდო, შექება)



2. კითხვაზე გაკვეთილის ორგანიზების რომელი ფორმაა თქვენთვის საინტერესო?



1. **კითხვაზე** - ეხმარებიან თუ არა შვილების დავალების მომზადებაში

   გამოკითხულ მშობელთა 10% პასუხობს დიახ, 20% - ნაწილობრივ, ხოლო 70% - არა.

2. **კითხვაზე** - უწევთ თუ არა მონიტორინგს თქვენი შვილების საშინაო დავალების შესრულების საკითხს?
   მშობელთა 15% პასუხობს -დიახ, ხოლო 25% - ნაწილობრივ, ხოლო 60% -არა.
3. **კითხვაზე** - თქვენი შვილების სწავლის პროცესში ჩართვისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით მიგიმართავთ თუ არა რაიმე ღონისძიებებისათვის?

   გამოკითხულ მშობელთა 15% პასუხობს დიახ, 25% ნაწილობრივ, ხოლო 60% პასუხობს არა.

აღნიშნული მონაცემები დიაგრამაზე აღინიშნება შემდგნაირად:

1. ეხმარებით თუ არა თქვენს შვილებს დავალების შესრულებაში?


70%
20%
10%
არა
ნაწილობრივ
დიახ

კითხვაზე: უწევთ თუ არა მონიტორინგს თქვენი შვილების საშინაო დავალების შესრულების საკითხს?



2. **კითხვაზე:** თქვენი შვილების სწავლის პროცესში ჩართვისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, მიგიმართავთ თუ არა რაიმე ღონისძიებებისათვის?



ძირითადი მიდგომები

- ✓ მოსწავლეთა წახალისების ფორმების ნაკლებ გამოყენება
- ✓ მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემული მასალის წაკითხვას ურჩევნიათ მხატრული ფილმის ყურება.
- ✓ გამოცდილების გაზიარების ნაკლებობა მასწავლებელთა შორის;
- ✓ მშობელთა დიდი ნაწილის უყურადღებობა შვილების სწავლის საკითხისადმი;
- ✓ მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის ნაკლებობა;
- ✓ ვიწრო ინტერესთა სფერო და ერთფეროვანი გარემო;
- ✓ მრავალფეროვანი აქტივობებისა და რესურსების გამოყენების ნაკლებობა.

ინტერვეციების აღწერა

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბდი შემდეგ ინტერვენციებზე:

- ✓ განვახორციელე მე-8, მე-9 კლასებში შემავალ მასწავლებლებთან შეხვედრა, რომელზეც მოვისმინე პედაგოგთა აზრი არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და გავიზიარეთ ერთმანეთის მოსაზრებები;
- ✓ მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით ისინი ინტენსიურად ჩავრთე შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში, ამ აქტივობით ვუზრუნველყავი მოსწავლეთა ჩართვა სემესტრული ტესტების, კროსვორდების კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სავარჯიშოების, მომზადების პროცესში;
- ✓ საგაკვეთილო პროცესში ინსტენსიურად შევცვალე ორგანიზების ფორმები მეტი დრო დავუთმე ჯგუფურ და წყვილებში მუშაობის საკითხს;
- ✓ გავითვალისწინე მოსწავლეთა ინტერესები და გაკვეთილი დავგეგმე და განვახორციელე მათი ინტერესებიდან გამომდინარე, რამაც გაზარდა მათი მოტივაცია და ჩართულობა, რაც თვალნათლივ გამოჩნდა შემდგომ ჩატარებულ გაკვეთილზე;
- ✓ ჩავრთე მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვაში, საგაკვეთილო ნორმების მიღებაში. შეფასების კომპონეტების შემუშავებაში, შესასწავლ საკითხთა თანმიმდევრობის დადგენაში და სხვა. ამან მნიშვნელოვნად აამაღლა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობის ხარისხი საგაკვეთილო პროცესში.
- ✓ ტესტირებისას გამოვიყენე სხვადასხვა ტიპის შეკითხვები ტესტები შევადგინე ისე, რომ დაცული ყოფილიყო ბალანსი ღია და დახურულ დაბოლოვებებიან შეკითხვებს შორის, უპირატესობა, რომ არ მიმენიჭებინა რომელიმე მოსწავლისათვის და შეფასების ინსტრუმენტი ყველასთვის ადეკვატური გამხდარიყო.
- ✓ გავზარდე გაკვეთილზე მეთოდ-აქტივობებისა და რესურსების გამოყენების რაოდენობა და ხარისხი;
- ✓ მოვაწყვე ექსკურსია გეგუთი- ბაგრატი- გელათი- მოწამეთა მარშუტით რამაც გაზარდა მოსწავლეებში მოტივაცია და ჩართულობა;
- ✓ მოსწავლეებთან ერთად დავამზადე, რამდენიმე რესურსი მაგ:რუკა, პლაკატი, ცხრილი, დიაგრამა, სქემა და ა.შ;
- ✓ მეორე სემესტრის განმავლობაში საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით მოსწავლეებს ვუჩვენებდი ნაწყვეტებს ფილმებიდან თემის

შესაბამისად, რამაც ხელი შეუწყო მათი მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას;

- ✓ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის გაზრდის მიზნით ხშირად ვაძლევდი სამუშაო მასალას ინტერნეტში მოსაძიებლად და გაკვეთილზე წარმოსადგენად, რაც ხელს უწყობდა მოტივაციის ამაღლებას, რადგან „თანამედროვე მოსწავლეებს“ წიგნზე მეტად კომპიუტერთან მუშაობა სიამოვნებთ.

შევცვალეთ როლები და მათი ინტერესების გათვალისწინებით შევარჩიეთ საგაკვეთილო თემა,მივეცი მათ საშუალება თავი წარმოედგინათ მასწავლებლის როლში და ჩაეტარებინათ გაკვეთილი მათ მიერ შერჩეული თემის მიხედვით.

ინტერვენციის შეფასება

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გამეგო, იქონია თუ არა გავლენა პრობლემების აღმოსაფხვრელად გატარებულმა ინტერვენციებმა, როგორც გამოვარკვიე გადაწყვეტილების მიღებამ მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილის დაგეგმვამ, მათი ინტერესებიდან გამომდინარე გარეგანი წახალისების ფორმებმა, აამაღლა მოსწავლეთა მოტივაცია და თვითშეფასება, პასუხისმგებლობის გრძნობა და შესაბამისად საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხი. მოსწავლეებში ინტერესი გამოიწვია გაკვეთილების ორგანიზების ფორმების ცვალებადობამ. მათ მოსწონთ ჯგუფებში და წყვილებში მუშაობის პროცესი.

ამ ყველაფერმა დადებითად იმოქმედა მათ მოტივაციასა და ჩართულობაზე. მათი ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმილმა და ჩატარებულმა გაკვეთილმა გაახალისა მოსწავლეები და გაზარდა მათი მოტივაცია და ჩართულობა. რაც აისახა მათ სასწავლო შედეგებზე.

დასკვნა

2018-2019 სასწავლო წელს ისტორიის მასწავლებელმა იზოლდა ფხაკაძემ ამავე საგანში განვახორციელე საკუთარი პრაქტიკის კვლევა, სამიზნე ჯგუფები გახლდათ VIII-IX კლასები.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი მოტივაციისა და ჩართულობის გამომწვევიმიზეზებია მოსწავლის აზრის გაუთვალისწინებლობა. მოსწავლეებთან ერთად გადაწყვეტილების მიუღებლობა, მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად დაგეგმილი გაკვეთილების ნაკლებობა, აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. გატარებული ინტერვეციების შეფასებისას გაირკვა, რომ მათი დიდი ნაწილი შედეგიანი აღმოჩნდა.

მოსწავლეებს მოსწონთ მრავალფეროვანი აქტივობებით და რესურსებით გაჯერებული გაკვეთილები, მოსწავლეთა ინტერეს იწვევს ვიზუალური სქემები, გრაფიკული გამოსახულებები, ვიდეოგაკვეთილები და ა. შ. მე-2 სემესტრის განმავლობაში დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამაღლდა მოსწავლეთა მოტივაცია და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა.

რეკომენდაციები

1. მოსწავლეთა მოტივაციისა და საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი მეთოდ/აქტივობების გამოყენება, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მეტი აქტიურობით და ჩართულობით მიაღწიონ მაღალი აკადემიურ შედეგებს.
2. სხვადასხვა თვალსაჩინოებების, სქემების, დიაგრამების გამოყენება გაკვეთილზე ხელს უწყობს:
    1. მოსწავლეები გაერკვიონ რატომ სჭირდებათ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის შესწავლა;
    2. ვიზუალურად წარმოაჩენენ შესასწავლ მასალას;
    3. უნვითარდებათ შემოქმედებითი უნარები
3. ვიდეო და ელექტრონული რესურსების გამოყენება გაკვეთილზე ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და მათ ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც მთავარია გაკვეთილები უფრო სახალისო და საინტერესოა;
    - ✓ ჩავატარეთ ინოვაციური მეთოდებით გაკვეთილები, რადგან ისინი სასწავლო პროცესს ხდიან მხიარულს, შედეგებზე ორიენტირებულს, ეხმარება მოსწავლეებს შეიძინონ აუცილებელი უნარები, რომლებიც მათ სრულფასოვან პიროვნებებად აქცევს.
    - ✓ საჭიროა სკოლის ბიბლიოთეკის განახლება თანამედროვე ლიტერატურით;
    - ✓ ხშირად ცვალეთ გაკვეთილის ორგანიზების ფორმები, ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას საგაკვეთილო პროცესში;
    - ✓ გაკვეთილები ჩაატარეთ ბუნებაში, ხშირად მოაწყვეთ სასწავლო ხასიათის ექსკურსიები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და გააუმჯობესებს საგაკვეთილო პროცესში მათ ჩართულობას.

რეფლექსია
(კოლეგების უკუკავშირი)

პრაქტიკული კვლევის განხორციელების შემდეგ მიღებული შედეგების გაზიარება საინტერესო-ეტაპი აღმოჩნდა როგორც ჩემთვის, ისე ჩემი კოლეგებისათვის განისაზღვრა პრეზენტაციის დღე 2019 წ. 14 ივნისი (15სთ) კოლეგებს გავაცანი კვლევის შედეგები, წარმოგიდგენთ მათ უკუკავშირს.

1. საკითხი მეტად აქტუალურია იგი გლობალური პრობლემაა უნდა შეიცვალოს მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლა-სწავლისადმი, ამაღლდეს მათი მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში;
2. აუცილებელია ხშირი უკუკავშირი ხშირად წაახალისეთ მოსწავლეები მიეცით მეტი კონკრეტული რეკომენდაციები;
3. სასწავლო პროცესი უნდა გახდეს უფრო თვალსაჩინო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მოსწავლეები არ არიან დარწმუნებულები თავიანთ ძალებში. არის ის, რომ ისინი ვერ გრძნობენ პროგრესს, საკონტროლო და სემესტრული შეფასება არ იძლევა ინფორმაციას პროგრესის შესახებ.
   ამ დროს სხვადასხვა აქტივობების გამოყენება არის საჭირო. მაგ: მაღალ კლასებში „მიღწევის ალბომები“ და ა.შ
4. მოსწავლეთა მიღწევის აღიარება და მხარდაჭერა აუცილებლობას წარმოადგენს;
5. მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ელექტრონული რესურსების გამოყენება.
6. ვასწავლით მოსწავლეებს საკუთარი მიღწევების თვითაღიარებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას და ჩართულობას;
7. სკოლის დირექციამ უნდა იზრუნოს სკოლის ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების, ლაბორატორიის, წიგნებისა და ელექტრონული რესურსების განახლებაზე;
8. კოლეგებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურის (მე-8, მე-9 კლასებში) ისტორიის მასწავლებლის იზოლდა ფხაკაძის ჩატარებული კვლევა მეტად აქტუალურია და მნიშვნელოვანია საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის ასამაღლებლად.
9. აღნიშნულ კვლევას დავნერგავთ ჩვენს პრაქტიკაში და აქტიურად გამოვიყენებთ წარმოდგენილ მეთოდ-აქტივობებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით რა თქმა უნდა ჩვენი საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე.

დანართი -1-

კითხვარი მასწავლებლებისათვის

მოგესალმებით, მე ვარ ისტორიის მასწავლებელი იზოლდა ფხაკაძე მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ვიკლევ საბაზო საფეხურზე (მე-8, მე-9 კლასები) „მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გასაუმჯობესებლად“ თქვენი როგორც მასწავლებლის ჩართულობა მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებისათვის, თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

1. არიან თუ არა მოსწავლეები ჩართულნი თქვენს საგაკვეთილო პროცესში?
   ა) დიახ;
   ბ) ნაწილობრივ;
   გ) არა
2. გაკვეთილის ორგანიზების რომელ ფორმას იყენებთ მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართულობისათვის?
   ა) ინდივიდუალური მუშაობა;
   ბ) ჯგუფური მუშაობა;
   გ) წყვილებში მუშაობა
3. თქვენს მიერ პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე კიდევ რა დამატებით აქტივობებს იყენებთ მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის ასამაღლებლად?
4. იყენებთ თუ არა გარეგან წახალისების ფორმას მოტივაციისა და ჩართულობის ასამაღლებლად?

დანართი -2-

კითხვარი მოსწავლეებისათვის

მასწავლებელი იზოლდა ფხაკაძე ვატარებ კვლევას მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის ასამაღლებლად საგაკვეთილო პროცესში, თქვენი როგორც მოსწავლეების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის.

თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, არაა საჭირო კითხვაზე სახელისა და გვარის დაფიქსირება.

1. ორგანიზების რომელ ფორმას ანიჭებთ უპირატესობას და ასრულებთ ხალისიანად?

   ა) ჯგუფური მუშაობა;

   ბ) წყვილებში მუშაობა;

   გ) ინდივიდუალური მუშაობა.

2. რომელი აქტივობების და რესურსების შესრულება გიმაღლებთ მოტივაციას და ჩართულობას?
   ა) რუკაზე მუშაობა;
   ბ) სახელმძღვანელოს ტექსტზე მუშაობა;
   გ) ისტორიულ წყაროზე მუშაობა;
   დ) ონლაინ რესურსები (ვიდეო რგოლები, ფილმები და ა.შ)

3. რა მიგაჩნიათ გაკვეთილზე პრიორიტეტულად მაქსიმალურად ჩართულობისათვის?
4. როგორ ფიქრობთ, დაგეხმარებოდათ თუ არა მოტივაციისა და ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად გასვლითი ღონისძებები (ბუნებაში დაგეგმილი გაკვეთილები, ექსკურსიები) უკეთესად სწავლისთვის? რატომ?

დანართი -3-

კითხვარი მშობლებისათვის

მოგესალმებით,

მე ვარ ისტორიის მასწავლებელი იზოლდა ფხაკაძე. მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე საბაზო საფეხურზე (მე-8, მე-9 კლასები). მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გასაუმჯობესებლად ვატარებ კვლევას თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა აუცილებელია პროექტის წარმატებისათვის. მონაწილეობა ანონიმურია.

1. ეხმარებით თუ არა თქვენ შვილებს მოცემული საშინაო დავალების შესრულებაში?
   ა) დიახ;
   ბ) ნაწილობრივ;
   გ) არა
2. უწევთ თუ არა მონიტორინგს თქვენი შვილების საშინაო დავალების შესრულების საკითხს?
   ა) დიახ;
   ბ) ნაწილობრივ;
   გ) არა

3. თქვენი შვილების სწავლის პროცესში ჩართვისა და მოტივაციის ამაღლებლის მიზნით მიგიმართავთ თუ არა რაიმე ღონისძიებისათვის?
   ა) დიახ;
   ბ) ნაწილობრივ;
   გ) არა

ბიბლიოგრაფია:

ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ცვატა, გრძელიძე მარიამ, „სწავლების ფსიქოლოგია“, გამომც. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2017;
2. მელიქიშვილი მანანა, „მოტივაცია“, გამომც. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013;
3. ბოჭორიშვილი მანანა, „ეფექტური სწავლა და მოსწავლეთა მოტივაცია“, ჟურნალი მასწავლებელი, N3, 2012;
4. ჭყოიძე თეო, „სწავლის მოტივაციის შიდა ფაქტორები“, ჟურნალი მასწავლებელი, N2, 2012;
5. მელიქიშვილი მანანა, „ბავშვის განვითრების ასაკობრივი თავისებურებები“, გამომც. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013;
6. მელიქიშვილი მანანა, „დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია“, გამომც. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013;
7. ჯაღიაშვილი თეა, „ჰუმანისტრური თეორია“, გამომც. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012;
8. ეროვნული სასწავლო გეგმა